ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5308739

ნომერი: AR1611131

თარიღი : 16.03.2020

გაცემის თარიღი : 10.03.2021

გაცნობის თარიღი : 15.03.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა, N 107;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამ პაპუკაშვილი პ/ნ 01008044858
- თბილისი თ.აბულაძის ქ. N 22 ბ. 3

ორგანიზაცია:

- შპს რეალგაზი კოდი: 402000801

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 31 მაისის №3986508 ბრძანებაშიცვლილებისშეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 25 დეკემბერს №AR1611131 განცხადებით მომართა მარიამ პაპუკაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2018 წლის 31 მაისის №3986508 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა, ზოგადიადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათაშესაბამისად, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 31 მაისის №3986508 ბრძანებით შეთანხმდა, ქ. თბილისში, თ. ერისთავის ქუჩა №8-ში, №01.12.12.003.097 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დამუშავებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სექტორი: №3) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 31 მაისიდან 2020 წლის 31 მაისის ჩათვლით.

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2018 წლის 31 მაისის №3986508 ბრძანებაშიცვლილების შეტანას, კერძოდ, განმცხადებელს სურს ბრძანებაში ცალკეფართობად დაფიქსირდეს ღია ავტოსადგომების ფართობი 57.6 კვ.მ.

საჯარო რეესტრისამონაწერის მიხედვით, (განცხადების რეგისტრაცია: №892018004397; მომზადების თარიღი: 05/01/2018 წ.) ქალაქ თბილისში, თ. ერისთავის ქუჩა №8-ში №01.12.12.003.097 საკადასტროკოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ,,ალფა რეზიდენსი'' (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405195854).

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით, შპს ,,ალფა რეზიდენსი''-ს დირექტორებს წარმოადგენენგიორგი ხუციშვილი და გია დავითაძე. წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილია შპს ,,ალფარეზიდენსი''-ს დირექტორების მიერ განმცხადებლის მარიამ პაპუკაშვილის სახელზე გაცემული 2021 წლის 23 თებერვლის მინდობილობა (რეგისტრაციის ნომერი: №210145446), რომელიც გულისხმობს მინდობილი პირის წარმომადგენლობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში.

სამსახურმა საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია ვინაიდან, სამსახურის 2018 წლის 31 მაისის №3986508 ბრძანებით შეთანხმებული პირველი სართულის გეგმაზე (+0.10 ნიშნული) დატანილია 03 ღია ავტოსადგომი რომლის ჯამური ფართობი შეადგენს 57.6 კვ.მ-ს. შესაბამისად, შესაძლებელია მათი ზემოაღნიშნულ ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ცვლილება შეიტანოს მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 31 მაისის №3986508 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობადდაფიქსირდეს: ღია ავტოსადგომები: 57.6კვ.მ.
2. სამსახურის 2018 წლის 31 მაისის №3986508 ბრძანებით შეთანხმებული -1 და 1 სართულის არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე სართულების არქიტექტურული გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 31 მაისის №3986508 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 31 მაისის №3986508 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.